

ნინო ლაბარტყავა

სწავლა - სწავლების თავისებურება კლას - კომპლექტებში განათლების დაწყებით საფეხურზე

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მცირეკონტინგენტის სკოლებში დასაშვებია კლას-კომპლექტების შექმნა. კლას - კომპლექტის თავისებურება ის გახლავთ, რომ ერთ კლასში გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები.

განათლების მსოფლიო პრაქტიკაში განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეების ერთ საკლასო სივრცეში გაერთიანებას ორი ძირითადი მიზეზი აქვს:

- პედაგოგიკური შეხედულებები - როდესაც სწავლებისას აქცენტი გაკეთებულია არა კლასზე, არამედ განსხვავებული უნარებიდან გამომდინარე გარკვეული პროგრამის დაძლევაზე;
- კონკრეტული რეგიონის დემოგრაფიული სპეციფიკა - როდესაც სკოლა მცირე კონტიგენტისა და ყოველი ასაკობრივი ჯგუფისთვის ცალკე კლასი არ იქმნება.

ჩვენს ქვეყანაში კლას - კომპლექტები ძირითადად დემოგრაფიული და ეკონომიკური სპეციფიკიდან გამომდინარე იქმნება. ამიტომ, ამგარი სკოლები ხასიათდება:

- 1) მოსწავლეთა მცირე რაოდენობით;
- 2) პარალელური კლასების არარსებობით;
- 3) ერთი კლასის შეგნით მოსწავლეთა არათანაბარი განაწილებით, რომელიმე კლასი შეიძლება საერთოდ არ იყოს სკოლაში.

იმისდა მიუხედავად, თუ რა მიზეზით არის კლას - კომპლექტი ფორმირებული, ბუნებრივია, რომ მნიშვნელოვანია ზრუნვა სწავლის ხარისხზე, რაც სწავლების მეთოდებისა და კლასის ორგანიზების ფორმების სწორი შერჩევით არის შესაძლებელი.

იწვევს თუ არა პრობლემებს კლასების ამგვარი ორგანიზება?

პირველ რიგში მნიშვნელოვანია აღნიშვნა იმისა, რომ მხოლოდ მეტრიკული ასაკი არ განაპირობებს ბავშვის ფიზიკურ, კოგნიტურ თუ სოციალურ სიმწიფეს. თანაც, სკოლის გარეთ (ოჯახში, თემში) ბავშვებს ცხოვრება უხდებათ ჰეტეროგენურ გარემოში. აშშ-სა და კანადაში ჩატარებული კვლევების თანახმად, ბავშვებს, რომლებიც სწავლობენ კლას-კომპლექტების ტიპის კლასებში უკეთ აქვთ განვითარებული ენობრივი კომპეტენციები, კითხვისა და სოციალური უნარები, აგრეთვე, უკეთესია სკოლისადმი დამოკიდებულება. რასაც კვლევის ავტორები სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა ურთიერთდახმარებით ხსნიან (Anderson, R.H., et B. Pavan. Nongradedness: Helping It Happen. Lancaster : Technomic, 1993). აგრეთვე, სკოლასა და კლასში ბავშვების მცირე რაოდენობა მეტად იძლევა ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას. (ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად კლას-კომპლექტებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს). განსხვავებული ასაკის ბავშვები ერთ კლასში იწვევს შემდეგს - ვითარდება დამოუკიდებლად მუშაობისა და სხვისი

დახმარების უნარები. ამგვარი სკოლა მრავაშვილიან ოჯახს ჰგავს. მასწავლებელთან ურთიერთობაც უფრო თბილი და უშუალოა. ამასთანავე, აქ არ ხდება ტემპიდან ჩამორჩენა. მაგ., თუ რომელიმე მოსწავლე ვერ ძლევს თავის ასაკობრივი ჯგუფის მასალას, ის თავისუფლად უბრუნდება მასალას პატარების ჯგუფთან ერთად.

ძირითადად კლას - კომპლექტებში გაერთიანებულია 2 ასაკობრივი ჯგუფი, თუმცა მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს კლას-კომპლექტები 3 ან 4 ასაკობრივი ჯგუფითაც.

მასწავლებლის სირთულე მდგომარეობს შემდეგში: მათ სჭირდებათ ერთდროულად 8 ან 12 გაკვეთილისთვის მომზადება და ყურადღების განაწილება 2 ან 3 კლასს შორის. სირთულეს იწვევს თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში მოსწავლეთა არათანაბარი რაოდენობა. მაგ., პირველ კლასში შეიძლება იყოს 3 მოსწავლე, მეორეში კი 7. ამიტომაც, არ არსებობს ამგვარი კლასის მართვის, ორგანიზებისა თუ მეთოდების შერჩევის უნივერსალური ფორმა და ის ყოველთვის ცვალებადია კონკრეტული კლასის სტრუქტურიდან გამომდინარე.

კლას-კომპლექტებში სწავლებისას პედაგოგს უხდება:

- ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით ცხრილის შედგენა;
- ორივე ასაკობრივი ჯგუფისა და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით გაკვეთილის გეგმების შედგენა;
- ეფექტური მეთოდების შერჩევა;
- კლასზე მორგებული ორგანიზების ფორმების შემუშავება;
- სწორი ფასილიტაცია არსებულ ჯგუფებს შორის;
- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება;
- მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე ზრუნვა.

კლას - კომპლექტებში მოსწავლე:

- ცდილობს მოახდინოს კონცენტრაცია საკუთარ დავალებაზე ან მასალაზე;
- ნაკლებად გადაერთვება სხვა კლასის გაკვეთილზე, როცა ეს საჭირო არ არის;
- ცვლის იოლად აქტივობის ტიპს;
- მუშაობს დამოუკიდებლად;
- ეხმარება უმცროსებს.

არსებობს კლას-კომპლექტების განსხვავებული კომბინაციები. მეტად გავრცელებული შემდეგი კომბინაციებია:

- ერთად პირველი და მესამე, მეორე და მეოთხე კლასები;
- პირველი და მეორე, მესამე და მეოთხე კლასები;

- პირველი - მეოთხე; მეორე და მესამე კლასები.

ყოველ განსხვავებულ კომბინაციას აქვს თავის დადებითი და უარყოფითი მხარეები. პირველი კომბინაციას აქვს შემდეგი ლოგიკა: მესამე კლასს უკვე შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა, მაშინ როდესაც პირველ კლასს მეტი ყურადღება სჭირდება პედაგოგის მხრიდან. მეორე ვარიანტის შერჩევას მიიჩნევა, რომ ერთი წლიანი სხვაობით ბავშვებს მეტი საერთო აქვთ, საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებიც შედარებით მსგავსია და უფრო იოლია ერთ თემაზე გაკვეთილის ჩატარება. თუმცა, ზოგი მკვლევარი აქ გარკვეულ საფრთხეს ხედავს და მიიჩნევს, ამგვარ კლასებში აწეულია ხოლმე პირველი კლასის მიმართ მოთხოვნები და დაწეულია მეორე კლასის მიმართ. მესამე ვარიანტი კი წინა ორი ვარიანტის კომბინაციას წარმოადგენს.

გაკვეთილების ცხრილის შედგენაც ბუნებრივია, რომ კლასკომპლექტების კომბინაციიდან გამომდინარე ხდება. მაგ., თუ კლასები გვყავს ერთ წლიანი სხვაობით, მაშ., მიზანშეწონილია, რომ მათ ერთი და იგივე საგნის გაკვეთილი ჩაუტარდეთ. თუ ჯგუფი არის ორ წლიანი სხვაობით, მაშ შეესაძლებელია სხვადასვა გაკვეთილების ჩატარებაც. კლას კომპლექტის სპეციფიკის მიუხედავად ძირითადად აერთებენ იმგვარ საგნებს როგორებიც არის - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, სპორტი. თუმცა ქართულ ენასა და ლიტერატურის, ბუნებისმეტყველების გაკვეთილებს ძირითადად ცალ-ცალკე ატარებენ.

მიიჩნევა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ პირველკლასელები. არსებობს მოსაზრება მათი გაკვეთილების ხანგრძლივობის შემოკლებასთან დაკავშირებით. (B.П. Стрезикозин) პირველკლასელთათვის პირველი ორი გაკვეთილის ხანგრძლივობა 30 წუთიანია; შემდეგი ორი, 40 წუთიანი - სხვა კლასებთან გაერთიანებული. ბოლო გაკვეთილი კი 35 წუთიანი. მეორე კლასიდან კი ცალკე არსებული გაკვეთილების საჭიროება აღარ არის ხოლმე. გთავაზობთ ამგვარი მოდელის ნიმუშს.

ნიმუში 1.

ორშაბათი				
გაკვეთილი	გაკვეთილის ხანგრძლივობა	კლასები		
		1	2	3
1	30	ქართული ენა და ლიტერატურა		
2	30	მათემატიკა		
3	40	ბუნებისმეტყველება	ქართული ენა და ლიტერატურა	ქართული ენა და ლიტერატურა
4	40	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	მათემატიკა	მათემატიკა
5	45		ინგლისური ენა	ინგლისური ენა
6	45		მუსიკა	მუსიკა

საშუალო				
1	30	ქართული ენა და ლიტერატურა		
2	30	მათემატიკა		
3	40	ისტ	ბუნებისმეტყველება	ბუნებისმეტყველება
4	40	სპორტი	სპორტი	სპორტი
5			მათემატიკა	მათემატიკა
6	45		ქართული ენა და ლიტერატურა	ქართული ენა და ლიტერატურა
7	45			ინგლისური ენა

საგაკვეთილო პროცესის ორგანიზება

კლას კომპლექტების დროს ადგილი აქვს დამოუკიდებელ მუშაობას, წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობას, პედაგოგთან ერთად მუშაობას.

მასწავლებლის უშუალო მონაწილეობით ადგილი აქვს შემდეგ აქტივობებს:

- ახალი მასალის ახსნა;
- ინსტრუქტაჟი;
- მასალის განმტკიცება;
- დიაგნოსტიკა და შეფასება;
- სწავლის პროცესის კონტროლი და კორექცია;
- კოგნიტური სტრატეგიების სწავლება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კლასკომპლექტების დროს ყველაზე მნიშვნელოვანია ზრუნვა მოსწავლეთა დამოუკიდებლად მუშაობისა და სხვათა დახმარების უნარების განვითარებაზე. დამოუკიდებელი მუშაობა შეიძლება გამოვიყენოთ: ცოდნის შემოწმების, ახალი მასალისთვის მომზადების ან მისი განმტკიცების მიზნით.

გაკვეთილის სტრუქტურა ორი ასაკობრივი ჯგუფისგან შემდგარ კლასში:

ნიმუში 2.

ხანგრძლივობა(წთ)	კლასები	
	2	3
2-3	მუშაობის ორგანიზება	მუშაობის ორგანიზება

15-18	ახსნა, მასალის პირველადი განმტკიცება მასწავლებლის ხელმძღვანელობით	დამოუკიდებელი მუშაობა
15-18	დამოუკიდებელი მუშაობა	ახსნა, მასალის პირველადი განმტკიცება მასწავლებლის ხელმძღვანელობით
3-5	შეჯამება, საშინაო დავალებების მიცემა	შეჯამება, საშინაო დავალებების მიცემა

დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზება

დამოუკიდებლად მუშაობას ამგვარი ორგანიზების კლასებში დიდი ადგილი უკავია. დამოუკიდებელი მუშაობა შეიძლება გამოვიყენოთ: ცოდნის შემოწმების, ახალი მასალისთვის მომზადების ან მისი განმტკიცების მიზნით.

დაწყებითი კლასების მოსწავლეებს შეუძლიათ შემდეგი ტიპის დამოუკიდებელი სამუშაოების შესრულება:

- მოსამზადებელი დავალებები, რომლებიც სრულდება ახალი მასალის შესწავლამდე (გამეორება სახელმძღვანელოდან-ტიპური, უკვე ნასწავლი მასალიდან - დავალებების შესრულება), ;
- ახალი ტიპის დავალებების შესრულება, მკაფიო საერთო ინსტრუქციის თანხლებით.

დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალება შეიძლება იყოს წერითი ან ზეპირი. მაგრამ ზეპირი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ცალკე სივრცე, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა, მასალის გამეორება ან ლექსის სწავლა.

დამოუკიდებელი მუშაობის ხანგრძლივობა განსაზღვრულია რამდენიმე პირობით. პირველ რიგში ასაკობრივი თავისებურებებით: ზოგადი ნორმები წარმოდგენილია ცხრილში:

კლასი	პირველი სემესტრი (წთ)	მეორე სემესტრი (წთ)
1	5-10	10-15
2	6-12	12-17
3	8-15	14-18
4	15-20	19-25

დამოუკიდებელი სამუშაოს შეთავაზებამდე პედაგოგმა:

- უნდა განსაზღვროს აქტივობის ზუსტი მიზანი;
- განსაზღვროს აქტივობის ადგილი ზოგადად გაკვეთილის მიზანთან შესაბამისობაში;
- გაითვალისწინოს მოსწავლეთა მომზადების დონე;
- იწინასწარმეტყველოს წამოჭრილი სირთულეები და ბარიერები;

- გათვალისწინებული სამუშაოს ოპტიმალური მოცულობა და ხანგრძლივობა;
- გამოიყენოს ხოლმე არასტანდარტული, სახალისო დავალებები.

დამოუკიდებლად მუშაობა ხდება უფრო მეტად - ქართული და უცხოური ენის, მათემატიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილებზე. შედარებით ნაკლები - ბუნებისმეტყველების, მუსიკისა და სპორტის გაკვეთილებზე.

ყველა ტიპის დამოუკიდებლად მუშაობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს: ინსტრუქციებს, სქემებს, თვალსაჩინოებებს. მათზე დაყრდნობით მოსწავლეები ამოწმებენ საკუთარი მუშაობის ეფექტიანობას. ის შეიძლება ყველას ჰქონდეს ინდივიდუალურად ან დაწერილი იყოს დაფაზე. სასურველია, დამოუკიდებელი მუშაობისთვის გარკვეული კონვერტების შემუშავება: სადაც იქნება ინსტრუქციები, ნიმუშები თუ როგორ უნდა შესრულდეს დავალება. მოსწავლეები დახმარებას მეტად საჭიროებენ ახალი მასალის ახსნის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მეორე კლასელთათვის შემდეგი ინსტრუქციების გამოყენება:

- ნიმუში - თუ როგორ სრულდება დავალება;
- მითითება - წაიკითხე ყურადღებით დავალება;
- თუ ვერ გაიგე, ხელახლა წაიკითხე, დაფიქრდი;
- გაიმეორე მარტო ან მეწყვილესთან ერთად, თუ რას ითხოვს შენგან დავალება;
- რა მოგეთხოვება პირველ რიგში; შემდეგ;
- შეასრულე დავალება;
- შეამოწმე დავალება.

დროის ეკონომიის მიზნით - შეიძლება უფრო ზუსტი ინსტრუქციების შეთავაზებაც, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარებასთან ერთად მოხდეს ინსტრუქციების ნელ-ნელა შემცირება. მაგ., მესამე კლასისთვის ის შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

ნიმუში - როგორ სრულდება დავალება

ამოცანის პირობა ჩემგან მოითხოვს: პირველ რიგში შემდეგ....

ვხსნი ამოცანას:

ვამოწმებ მას.

ან

ამოწერე ტექსტიდან სახელები, რომელთაც დაესმის შეკითხვა „ ვინ?“ როგორც ნიმუშშია მოცემული;

რატომ ფიქრობ, რომ მათ დაესმის შეკითხვა ვინ?დაასაბუთე შენი პასუხი და შემდეგ გაუზიარე შენს მეწყვილეს.

ზოგი ავტორი მიიჩნევს, იმისთვის, რომ ამგვარი დავალების შესრულება ბავშვისთვის მოსაბეზრებელი არ იყოს, შეიძლება რამდენიმე დავალება მოვიფიქროთ ზღაპრის პერსონაჟებზე ან ბავშვისთვის საინტერესო საკითხებზე. აგრეთვე, მიზანშეწონილია რებუსების და კროსვორდების გამოყენება.

დამოუკიდებელი სამუშაო ბავშვებს დიდად ეხმარება თვითკონტროლის უნარის განვითარებაში. ამისთვის, მასწავლებელი ამზადებს ნიმუშსაც და ცალკე ბარათებს, სადაც ამოხსნილი დავალებებია მოცემული, დავალების შესრულების შემდეგ სთავაზობს მას მოსწავლეებს და შემდეგ უკვე მოსწავლე დამოუკიდებლად ან მეწყვილესთან ერთად ამოწმებს დავალების შესრულების სიზუსტეს.

დამოუკიდებელი მუშაობის გარდა კლას-კომპლექტებში მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი სწავლება, რომელიც შემდეგი ფორმით შეიძლება ხორციელდებოდეს: ურთიერთსწავლებით, ჰეტეროგენური და ჰომოგენური ჯგუფების ფორმირებით, მასწავლებლის „დამხმარებით“.

ჯგუფების გაერთიანება იოლია, როდესაც თემა ემთხვევა ერთმანეთს: მაშინ უფროსი მოსწავლეების რესურსი იოლად გამოსაყენებელია. მაგრამ, თუ ხდება, რომ გადაკვეთის პუნქტები ნაკლებია, შეიძლება, რომ მასწავლებელმა დასვას საკითხი, პრობლემა, რომელთანაც დაკავშირებით ორივე ჯგუფს უკვე გარკვეული ცოდნა ექნება.

განსხვავებული ასაკის მოსწავლეებთან ჯგუფური მუშაობა შემდეგი სცენარით მიმდინარეობს:

- მთელი კლასის წინაშე ისმება საერთო პრობლემა;
- შემდეგ ეძლევათ საერთო ინტრუქცია სამუშაოს სპეციფიკასთან დაკავშირებით.
- ხდება კლასის მცირე ჯგუფებად დაყოფა;
- თითოეულ ჯგუფთან ხდება დავალების დაკონკრეტება, ან მასალის დარიგება;
- სამუშაოს შეჯამება ჯგუფებს შორის;
- სამუშაოს პრეზენტაცია.

პირველკლასელებთან მუშაობისას გასათვალისწინებელია შემდეგი: მათ ჯერ უჭირთ პირობის დაფიდან გადმოწერა, მუშაობისას მეტი დრო სჭირდებათ, სავარაუდოდ მეტი შეცდომა იქნება დაშვებული. ამიტომ პედაგოგმა შეიძლება განახორციელოს შემდეგი სტრატეგია: 1) მესამე კლასს მიაწოდოს რამდენიმე ეტაპისგან შემდგარი დავალება, თუ მას პირველკლასელებისთვის სჭირდება ახალი მასალის ახსნა/დემონსტრაცია; 2. პატარებს აუხსნას დაწვრილებით, თუ რას მოითხოვს მათგან; 3)შეადგინოს ინსტრუქციები, თუ როგორ აიცილონ თავიდან შეცდომები.

კლასს-კომპლექტების გაკვეთილის გარკვეული ეტაპები შეიძლება საერთო იყოს ყველასთვის. მაგ.,

1 კლასი	მე-2 კლასი	მე - 3 კლასი
---------	------------	--------------

დამოუკიდებლად მუშაობა მასწავლებლის ხელმძღვანელობის/მეთვალყურეობის ქვეშ		
მასწავლებელთან ერთად მუშაობა	დამოუკიდებლად მუშაობა	
დამოუკიდებლად მუშაობა	მუშაობა მასწავლებელთან ერთად	დამოუკიდებლად მუშაობა
დამოუკიდებელი მუშაობა მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ		
დავალების/პროცესის შეჯამება		

გაკვეთილებზე საერთო ეტაპები შეიძლება დაეთმოს: ხატვას, დამოუკიდებელ ჩუმ კითხვას, ფილმების გარჩევას, შემოქმედებით დავალებებს, ზეპირ ანგარიშს, დაკვირვების ოქმზე მუშაობას ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე, წაკითხულ წიგნების ირგვლივ მსჯელობას.